| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130404320 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 24.04.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | ოლღა ჭანიშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | საქართველო , ქ. თბილისი მარჯანიშვილის 18 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2-47-63-63 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 24332029421913 |

ორი ათას ცამეტი წლის ოცდაოთხ აპრილს მე, ნოტარიუსს ოლღა ჭანიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე ქ. თბილისი მარჯანიშვილის 18) მომმართეს მაია რჩეულიშვილმა; დიანა მატკავამ და ალექსანდრე კავთიევსკიმ. მათ წარმოადგინეს წინამდებარე კრების ოქმი და მოითხოვეს მასზე მათი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მაია რჩეულიშვილმა დაბ. 07.03.1958 წ. თბილისი, მის: თბილისი, ლ. ბოცვაძის ქ. # 14 (პირადი # 01017003383); დიანა მატკავამ დაბ. 04.02.1942 წ. სამტრედია მის: თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 17 ბ. 32 ( პირადი # 01006014558) და ალექსანდრე კავთიევსკიმ დაბ. 31.03.1955 წ. თბილისი მის: თბილისი ვაზისუბნის დას. კორ. 16 ბ. 51 (პირადი # 01012004406) მომმართეს.მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ იმ მომენტში მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე კრების ოქმის 2 ეგზემპლარს. სანოტარო მოქმედება შესრულებულია სანოტარო ბიუროს გარეთ მისამართზე: თბილისი დ. აღმაშენებლის 150. გადახდილია სანოტარო საზღაური 6 ლარი და 2 ლ. სარეგისტრაციო და 5 ლ. ბიუროს გარეთ გაწეული მომსახურეობის. სულ 13 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. დადგენილება # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" 31-ე; 34.2-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი ო. ჭანიშვილი

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

**ამხანაგობა "ახალი დილომი"-ს (საიდ/კოდი: 202389156)**

**დამფუძნებელი წევრების კრების ოქმი**

**ქ. თბილისი** **20 მარტი, 2013 წელი**

კრებას ესწრებოდნენ:

1. შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს (საიდ/კოდი: 231284240) დირექტორი მაია რჩეულიშვილი (პირადი/№01017003383)

2. დიანა მატკავა (პირადი/№01006014558);

3. ალექსანდრე კავთიევსკი (პირადი/№01012004406);

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის თავმჯდომარის ცვლილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა:

1. თავმჯდომარის უფლებამოსილება შეუწყდეს ივანე ცაგურიას (პირადი №01008014283) და ამხანაგობის თავმჯდომარედ დაინიშნოს:
   მაია რჩეულიშვილი (პირადი №01017003383, დაბ. 07.03.1958, მცხ. თბილისი, ლ. ბოცვაძის ქუჩა №14)

ამხანაგობა "ახალი დილომი"-ს დამფუძნებელი წევრები:

შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა", წარმოდგენილი მისი დირექტორის – მაია რჩეულიშვილის სახით

დიანა მატკავა

ალექსანდრე კავთიევსკი

# შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა“-ს (ს/კ 231284240)

# დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების

# ოქმი

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი 2013 წელი

შედგა შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა”-ს დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება. კრებას ესწრებოდნენ შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა”-ს დამფუძნებელი პარტნიორის – შპს „გეითვეი ჰოლდინგი“-ს (ს/კ 204531499) დირექტორის ქ-ნ მაია რჩეულიშვილის მინდობილი პირი – პაატა სვანიძე (მინდობილობა დამოწმებული 14.07.2013წ. ნოტარიუს თამარ სალბიშვილის მიერ რ№130709568).

***დღის წესრიგი:*** შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა”-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ახალი დიღომი“-დან გასვლის და მის საკუთრებაში არსებული წილის უფლების დათმობის შესახებ;

***დაადგინეს:*** დათმობილ იქნას შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა“-ს საკუთრებაში არსებული წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ახალ დიღომში“ მაია რჩეულიშვილზე (ბ/ნ 01017003383).

შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა“-ს დამფუძნებელი-პარტნიორის –

შპს „გეითვეი ჰოლდინგი“-ს დირექტორის

მაია რჩეულიშვილის მინდობილი პირი –

პაატა სვანიძე პაატა სვანიძე

*საქართველო*

ორიათასცამეტი წლის ოცდასამ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას №47-ში მომმართა **შპს "გეითვეი პოლდინგი"-ს** (ს/კ 204531499) დირექტორის ქ-ნ **მაია რჩეულიშვილის** (პ/ნ 01017003383) მინდობილმა პირმა – **პაატა სვანიძემ** (მინდობილობა დამოწმებული 14.07.2013წ. ნოტარიუს თამარ სალბიშვილის მიერ რ№130709568). მან წარმოადგინა **შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** (ს/კ 231284240) პარტნიორის გადაწყვეტილება და მოითხოვა ამ გადაწყვეტილებაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **პაატა სვანიძემ** (დაბადებული 26.06.1972 წელს სოხუმში, მისამართი: თბილისი, მისამართის გარეშე, მისი განცხადებით მცხ. მისამართზე: თბილისი, ევდოშვილის 2/10, კორპ. 4, ბინა 30, პირადი №01003021229, ბარათის №12IB60969, გაც. 12.10.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. **პაატა სვანიძემ** განაცხადას, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას, რასაც ვამოწმებ.

გადაწყვეტილების სამი ეგზემპლარის ყოველ გვერდზე ხელმოწერების დამოწმებისთვის, გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თითოეული ეგზემპლიარისთვის: ორი (2) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ოცდათექვსმეტი (36) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ოთხი (4) ლარი და ოცდათექვსმეტი (36) თეთრი.

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /

# *წილის უფლების დათმობის ხელშეკრულება*

# *ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა*

# *„ ახალი დიღომი “*

*შპს „საქართველოს ღვინის ბირჟა“ (პაატა სვანიძე) –*

*მაია რჩეულიშვილი (პაატა სვანიძე)*

*2013 წლის 23 ოქტომბერი*

*საქართველო*

ორიათასცამეტი წლის ოცდასამ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს **ნ. გინტურს** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **პაატა სვანიძემ, როგორც შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** (რეგისტრირებული 31.07.2007 წელს თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, ს/კ 231284240, იურიდიული მიმსამართი: თელავი, ნადიკვრის ქ. №13) დირექტორის ქ-ნ **მაია რჩეულიშვილის** (პ/ნ 01017003383) მინდობილმა პირმა (მინდობილობა დამოწმებული 14.07.2013წ. ნოტარიუს თამარ სალბიშვილის მიერ რ№130709568) **და თავად მაია რჩეულიშვილის** (პ/ნ 01017003383) მინდობილმა პირმა (მინდობილობა დამოწმებული 14.07.2013წ. ნოტარიუს თამარ სალბიშვილის მიერ რ№130709572). მან წარმოადგინა წილის უფლების დათმობის ხელშეკრულება და მოითხოვა ამ ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **პაატა სვანიძემ** (დაბადებული 26.06.1972 წელს სოხუმში, მისამართი: თბილისი, მისამართის გარეშე, მისი განცხადებით მცხ. მისამართზე: თბილისი, ევდოშვილის 2/10, კორპ. 4, ბინა 30, პირადი №01003021229, ბარათის №12IB60969, გაც. 12.10.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავრწმუნდი, რომ მხარე უფლებამოსილი იყო დაედო წინამდებარე ხელშეკრულება.

მე დავადგინე მხარის ნების გამოხატვის ნამდვილობა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, მხარეს განვუმარტე ამ ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები, მე მხარეს განვუმარტე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 311[1]-ე მუხლების შესაბამისად, მას უფლება აქვს აირჩიოს ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება ან ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად შედგენა-დამოწმება. მხარის მიერ მოთხოვნილი იქნა ხელშეკრულებაზე მხარის ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება. მხარემ და ჩემი თანდასწრებით მოაწერა მას ხელი.

# *წილის უფლების დათმობის ხელშეკრულება*

ორიათასცამეტი წლის ოცდასამი ოქტომბერი. **შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** (რეგისტრირებული 31.07.2007 წელს თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, ს/კ 231284240, იურიდიული მიმსამართი: თელავი, ნადიკვრის ქ. №13) დირექტორის ქ-ნ

პაატა სვანიძე

მაია რჩეულიშვილი

**მაია რჩეულიშვილის** (პ/ნ 01017003383) მინდობილმა პირმა – **პაატა სვანიძემ** (დაბადებული 26.06.1972 წელს სოხუმში, მისამართი: თბილისი, მისამართის გარეშე, მისი განცხადებით მცხ. მისამართი: თბილისი, ევდოშვილის 2/10, კორპ. 4, ბინა 30, პირადი №01003021229, ბარათის №12IB60969, გაც. 12.10.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ), რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია, როგორც „წილის უფლების დამთმობი“, **მაია რჩეულიშვილს** (დაბადებული 07.03.1958 წელს თბილისში, მისამართი: ქ. თბილისი, ლ. ბოცვაძის ქ. №14, პირადი №01017003383, პ/მ №გ 0393245, გაც. 22.09.2003წ. სრს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ) – წარმოდგენილს **პაატა სვანიძის** (დაბადებული 26.06.1972 წელს სოხუმში, მისამართი: თბილისი, მისამართის გარეშე, მისი განცხადებით მცხ. მისამართი: თბილისი, ევდოშვილის 2/10, კორპ. 4, ბინა 30, პირადი №01003021229, ბარათის №12IB60969, გაც. 12.10.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) სახით, რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია, როგორც „წილის უფლების მიმღები“, დაუთმო **შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** კუთვნილი წილის უფლება **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ახალ დიღომში"**, ხოლო **პაატა სვანიძემ** მისი მარწმუნებლის **მაია რჩეულიშვილის** სახელით მიიღო აღნიშნული წილის უფლება.

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წილის უფლების დამთმობი უთმობს, ხოლო წილის უფლების მიმღები იღებს, **შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** კუთვნილ წილის უფლებას **ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივი II კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. 25/29) მდებარე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ახალ დიღომში"**.

## 2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1. „წილის უფლების დამთმობი“ ვალდებულია გადასცეს „წილის უფლების მიმღებს“ **შპს "საქართველოს ღვინის ბირჟა"-ს** კუთვნილი წილის უფლება **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ახალ დიღომში"**.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. წილის უფლების დამთმობი ვალდებულია:
- გადასცეს წილის უფლება ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრულ წილის უფლებაზე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.
- ხელი არ შეუშალოს წილის უფლების მიმღებს საკუთრების უფლების განხორციელებას საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართთან მიმართებაში.

3.2. წილის უფლების მიმღები ვალდებულია:
- მოახდინოს წილის უფლების შესაბამისი რეგისტრაცია ამხანაგობაში და კანონმდებლობით განსაზღვრულ სათანადო ორგანოებში.

3.3. ხელშეკრულების ორივე მხარე ვალდებულია:
- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა.

## 4. საკუთრების პრეზუმცია

4.1. წილის უფლების დამთმობი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ იგი არის 1.1. პუნქტში აღნიშნული გადასაცემი წილის უფლების ერთადერთი კანონიერი მესაკუთრე და გააჩნია წილის ექსკლუზიური უფლება.

პაატა სვანიძე

მაია რჩეულიშვილის მინდობილი პირი

4.2. წილის უფლების დამთმობი ვალდებულია ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებისთანავე გადასცეს წილის უფლებაზე მისი საკუთრების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი წილის უფლების მიმღებს.

## 6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთვალდებულებები ამოწურულად ითვლება, ხოლო ხელშეკრულების მოქმედება წყდება.

6.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში კი - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

7. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: თორმეტი (12) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ორი (2) ლარი და თექვსმეტი (16) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: თექვსმეტი (16) ლარი და თექვსმეტი (16) თეთრი.

„წილის უფლების დამთმობი“ „წილის უფლების მიმღები“

ნოტარიუსი _____ / ნ. გინტური